1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა**
პროგრამის სახე: ☐ **პროფესიული მომზადება** ■ **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ **2** ☐ **3** ☐ **4** ■ **5**
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური** - 5 **მაქსიმალური** - 20 ერთდროულად შესაძლებელია 4 ჯგუფის სწავლება 80 მსმენელი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: - სრული ზოგადი განათლება - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელების გადამზადება დარგში არსებული სტანდარტების შესაბამისად, რაც მათ დაეხმარებათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობაში.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) **საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეეძლება:** 1. ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სწავლებისთვის ეფექტური და უსაფრთხო გარემოს შექმნა
2. დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება
3. თემისა და ოჯახის ჩართულობის უზრუნველყოფის პრაქტიკული სტრატეგიების გამოყენება
4. ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან დოკუმენტირებული დაკვირვებების წარმოება და მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **სკოლამდელი განათლება** (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძ. N018, 02.03.2018; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №132, 09.08.2018)

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ სულ მცირე სრული ზოგადი განათლება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტით.

პროგრამის მოცულობა 160 საათია, თეორიულ სწავლებას დაეთმობა 101 საათი, პრაქტიკულ სწავლებას - 50 საათი, შეფასებას - 9 საათი. პროგრამა განხორციელდება 10 კვირის განმავლობაში, კვირეული საათობრივი დატვირთვა 16 საათი. თეორიული კომპონენტი განხორციელდება - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA- ში , აგრეთვე შესაძლებელია დისტანციურად განხორციელება, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულებები:

- **ა(ა)იპ ქ. თბილისის 36-ე ბაგა-ბაღი;**
- **ა(ა)იპ ქ. თბილისის 58-ე ბაგა-ბაღი;**
- **ა(ა)იპ თბილისის 128-ე საბავშვო ბაგა-ბაღი**
- **ა(ა)იპ თბილისის 56-ე საბავშვო ბაგა-ბაღი**
- **ა(ა)იპ თბილისის 71-ე საბავშვო ბაგა-ბაღი;**
- **ა(ა)იპ თბილისის 38-ე საბავშვო ბაგა-ბაღი;**
- **ა(ა)იპ თბილისის მე-20 საბავშვო ბაგა-ბაღი;**

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.
განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-10 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებით. შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონულად. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული

(კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.